საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო**

KA020110696338923

**თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30**

# ბრძანება № 95/ს

**30 / იანვარი / 2023 წ.**

**ი/მ გიორგი მინაშვილზე (ს/კ 37001008729) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 1003970 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე**

ი/მ გიორგი მინაშვილზე (ს/კ 37001008729) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2016 წლის 12 სექტემბრის N 1482/ს ბრძანების საფუძველზე გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1003970 ლიცენზია (25 წლის ვადით), ქ. სამტრედიის ტერიტორიაზე, რუსთაველის ქუჩა N 67-ში, მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 30 დეკემბრის N 2682 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება ი/მ გიორგი მინაშვილის გარდაცვალების ფაქტი.

2022 წელს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადის დარღვევის გამო, სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, ი/მ გიორგი მინაშვილის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. სასამართლო განხილვისას გამოირკვა, რომ ლიცენზიის მფლობელი ი/მ გიორგი მინაშვილი გარდაცვლილია. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 05 აგვისტოს დადგენილებით (საქმის N4/196-22), საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის შესაბამისად, ი/მ გიორგი მინაშვილის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა მისი გარდაცვალების გამო. დადგენილებაში მითითებულია, რომ გიორგი მინაშვილის (პ/ნ 37001008729) გარდაცვალების თარიღია 2022 წლის 29 მაისი (აქტის ჩანაწერი N 68227004705).

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-3 მუხლის “ა.ა“ პუნქტით გათვალისწინებულია სარგებლობის ლიცენზიის მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა. სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, ჩატარებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება, ი/მ გიორგი მინაშვილის მემკვიდრის დადგენის მიზნით.

სააგენტომ 2022 წლის 19 ოქტომბერს N 22/8078 წერილით ი/მ გიორგი მინაშვილის მემკვიდრეთა შესახებ ინფორმაციის მოძიების მიზნით მიმართა ნოტარიუსთა პალატას. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2022 წლის 27 ოქტომბრის N 16/12551 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ ერთიან ელექტრონულ სამემკვიდრეო რეესტრში არ იძებნებოდა ინფორმაცია გიორგი მინაშვილის (პირადი N 37001008729) დანაშთი ქონების თაობაზე.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამკვიდროს მიღება ხდება 6 თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის მომენტიდან (პირის გარდაცვალების მომენტიდან), სააგენტომ 2022 წლის 21 დეკემბერს № 22/9767 წერილით კვლავ მიმართა ნოტარიუსთა პალატას გარდაცვლილი ლიცენზიანტის მემკვიდრის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. თუმცა, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2022 წლის 28 დეკემბრის N 16/14889 წერილით, სააგენტოს კვლავ ეცნობა, რომ ერთიან ელექტრონული სამემკვიდრეო რეესტრში არ იძებნება ინფორმაცია გიორგი მინაშვილის (პირადი № 37001008729) სამკვიდრო ქონების შესახებ სამემკვიდრეო საქმის წარმოების მიმდინარეობისა და/ან განხორციელების თაობაზე.

ვინაიდან, ლიცენზიის მფლობელი ი/მ გიორგი მინაშვილი გარდაცვლილია და არ არის რეგისტრირებული ჩანაწერი სამკვიდრო ქონების შესახებ სამემკვიდრეო საქმის წარმოების თაობაზე, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს ლიცენზიის გადაცემა

მემკვიდრეობით. ამასთან, ლიცენზიის ამგვარ მოცემულობაში არსებობის პირობებში ვერ იქნება უზრუნველყოფილი წიაღისეულით რაციონალური სარგებლობა. სააგენტო ვერ განახორციელებს სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლს.

შესაბამისად, ცალსახაა, რომ სახეზეა ლიცენზიის გაუქმების გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძვლები.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების, $7^5$ მუხლის $1^2$ პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის N1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ვ“ პუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2016 წლის 12 სექტემბრის N 1482/ს ბრძანება;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) ი/მ გიორგი მინაშვილზე (ს/კ 37001008729) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 1003970 ლიცენზია, ქ. სამტრედიის ტერიტორიაზე, რუსთაველის ქუჩა N 67-ში, მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით.

3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემები დადგენილი წესით შეიტანოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;

4. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ანდრო ასლანიშვილი